ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის
შესახებ

2022 წელი

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021 წლის 04 დეკემბრიდან დღემდე პერიოდს.

კომისია შედგება ათი დეპუტატისაგან:

1. მარინე ხვედელიძე;
2. დავით კიკნაძე;
3. ირმა ვაქერ-სებისკვერაძე;
4. უშანგი ბერაძე;
5. ეკატერინე შველიძე;
6. ნონა ზურაბიანი;
7. ვერა ოდიკაძე;
8. დოდო ხაჩიძე;
9. ბაქარ ბარბაქაძე;
10. ირმა ალხაზიშვილი.

კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულების შესაბამისად.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა ხუთი სხდომა. თითოეული წევრი მაქსიმალურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში. აქტიურად ვთანამშრომლობდით საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა კომისიებთან.

კომისიის პირველი სხდომა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მდივნის არჩევას, 2022 წლის სამუშაო გეგმის წარდგენასა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს

ეხებოდა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად ასევე განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების მიერ მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში და ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული აიპების ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ეს აიპებია: სამუსიკო სკოლა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი და ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება. კომიია მაქსიმალურად ცდილობს წარმოაჩინოს აიპების როგორც მიღწევები, წარმატებები, ასევე დასაძლევი და გამოსასწორებელი საკითხები.

საანგარიშო მონაკვეთი ექვს თვეს მოიცავს და ეს პერიოდი კოვიდპანდემიის, კოვიდრეგულაციების გათვალისწინებთ, გარკვეული შეზღუდვებით მიმდინარეობდა, თუმცა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კომისია აქტიურად თანამშრომლობს კულტურის, განათლების, სპორტის მიმართულებით და აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან საკითხშია ჩართული.

ეს იქნება ბაღები- სკოლამდელი აღზრდა, სკოლები- ინფრასტრუქტურული საკითხები, წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სპორტული ღონისძიებები. კომისია აიპის ხელმძღვანელთან ერთად იმყოფებოდა და დაათვალიერა ხუნევის მშენებარე ბაღი. ავტობანის მშენებლობით გამოწვეული პრობლემის შესასწავლად ასევე ადგლზე იმყოფებოდა და დაათვალიერა ბორითის საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია. სასაჩუქრე ვაუჩერი გადავეცით ეროვნულ ოლიმპიადაში წარმატებულ ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლეს. 21 მარტს პირადი სახსრებით სჩუქრები გადავეცით დაუნის სინდრომის მქონე პიროვნებას. 3 და 8 მარტის დღესასწაულებთან დაკავშირებით სიმბოლური საჩუქრებით მოვინახულეთ რამდენიმე შეჭირვებული ქალბატონი. საკითხის უკეთ შესასწავლად კომისიამ საკრებულოზე მოიწვია განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „თაირისის“ ხელმძღვანელი და მოისმინა ანგარიში მათ მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ. ასვე ვმონაწილეობდით 9 აპრილისა და 9 მაისის ღონიძიებებში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები სოციალური ქსელით, დახურული ჯგუფით, ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან, რაც გამართულ და დროულ კომუნიკაციას განაპირობებს.

მინდა აღვნიშნო, რომ დეპუტატების მხრიდან ხშირი გაცდენა არ ფიქსირდება და ქვორუმის არ არსებობის გამო სხდომა არ ჩაშლილა, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომისიის თითოეულ წევრს.

მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისათვის, მადლობა საკრებულოს აპარატს მხარდაჭერისა და კომისიის გამართულად მუშაობის ხელშეწყობისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
მარინე ხვედელიძე